ბ) ჯგუფის ერთი წევრი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული იმის ცოდნით თუ რატომ არ იქნა განხილული სააკაშვილისათვის „ყალბი ანგარიშების შედგენის" ქართული ანალოგის წარდგენა ბრალად, ან მისთვის სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ბრალდების წარდგენა, რაც გამოწვეულია, ხარჯების ანაზღაურების მიზნით სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გამოყენებით. აღნიშნული წარმოშობდა საქართველოს ორგანოებისათვის პოლიტიკის თვალსაზრისით განსახილველი საკითხია, რაც არ ეხება ჯგუფს, მათ შორის იმას, სურთ კი მათ, რომ გარკვეულ ეტაპზე სახეზე იყოს მსჯავრდება პროცედურული დარღვევების გამო იმ შემთხვევაშიც კი, თუ რეალური ხარჯებთან დაკავშირებული ბრალდებები გარკვეული მიზეზების გამო ვერ იქნება დამტკიცებული.

<u>დასკვნები</u>

69. ჯგუფი ასკვნის შემდეგს:

ა) ინფორმაცია სისხლის სამართლის #08260213001 საქმეზე წარმოადგენს უმაღლეს პროფესიონალურ დონეზე შესრულებულ სამუშაოს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ღონისძიებების დეტალურ ახსნას, რომელთა საშუალებითაც სააკაშვილის არაორდინალური პირადი დანახარჯები აანაზღაურებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როგორც სამსახურის „ხარჯები".

ბ) ჯგუფს არაფერი ისეთი არ აღმოუჩენია ინფორმაციაში, რაც მის შინაარსს, ან მთლიანობას დააყენებდა ეჭვქვეშ.

გ) ინფორმაციის დანართები, როგორც ეს ზემოთ არის მოცემული, ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ დაკითხულ პირებს კითხვები ნეიტრალურად დაუსვეს იმისათვის, რათა გამოევლინათ ზუსტი და/ან ჭეშმარიტი პასუხები.

დ) დაკითხულ პირთაგან არცერთი არ იჭერდა ვინმეს მხარეს, როდესაც ამართლებდა, ან არ ამართლებდა სააკაშვილს იმაში, რაც მან გააკეთა. თითოეულმა მსგავსი ისტორია მოჰყვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გააკეთა მან ის, რაც გააკეთა.

ე) არსებობს მრავალი მტკიცებულება, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ არავის იმ პირთაგან, ვისაც ძალაუფლება გააჩნდა, როგორც ჩანს, არ ჰქონდა იმის გამბედაობა,

---

6. ყოველრიური საჭიროებების დაფინანსება, მაგალითად: პრეზიდენტის შვილისთვის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდა და პრეზიდენტის შვილისთვის ცურვის გაკვეთილების საფასურის გადახდა;

რომ ხმა ამოეღო. იმის გათვალისწინებით, რომ მისი ქცევის მიღმა უამრავი მოტივი არსებობს, როგორც ჩანს, სააკაშვილის ძირითად მოტივაციას წარმოადგენდა მისი სურვილი საზოგადოებრივი კონტროლისგან დაემალა მისი ხარჯები - იმისდა მიუხედავად იყო ეს ხარჯები მიწიერი და პრეზიდენტისთვის სავარაუდოდ შესაფერისი, თუ არამართებულად ექსტრავაგანტული. ის ფაქტი, რომ არასათანადო ხარჯები მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2009 წელს დამკვიდრებული იქნა საიდუმლო სისტემა, განსაკუთრებით ძლიერ მტკიცებულებას წარმოადგენს.

ვ) ჯგუფი ამ ანგარიშში წინაპირობად იღებს იმას, რომ სააკაშვილს არ გააჩნია არანაირი იმუნიტეტი მის ქცევასთან მიმართებაში მოცემულ საქმეში. იმ დროს საქართველოში არსებობდა ერთიანი სისტემა, რომელიც უნივერსალურად გამოიყენებოდა - მოთხოვნილი ხარჯების სათანადო წესის შესაბამისად დასაბუთებისათვის და ეს იყო სისტემა, რომელიც ამომწურავად მოწმდებოდა.

ზ) ყველა ხარჯი, რომელსაც „ინფორმაცია" ითვალისწინებს, შეიძლება არღვევდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტის დებულებებს, იხილეთ ზემთ მოცემული 22-ე პუნქტი, განსაკუთრებით კი <u>მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა .....წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; .....სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.....დიდი ოდენობით.</u>

70. *ყველა ზემოთ განხილულ ფაქტორზე დაყრდნობით, ჯგუფი ასკვნის, რომ სასამართლოს მიერ სათანადო წესის შესაბამისად განსახილველი მტკიცებულებები საკმარისია ბრალდების შესახებ დადგენილების გასამყარებლად და ამართლებს მიხეილ სააკაშვილისათვის და თეიმურაზ ჯანაშიასათვის წარდგენილ ბრალდებას სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით არის გათვალისწინებული.*

პოლ კოფი	მოშე ლადორი	ჯეფრი ნაისი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
2016 წლის 6 თებერვალი	7.2.2016	7.2.2016